პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №?

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
დებულების დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის
N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ,ბ“ ქვეპუნტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***დაადგინა:***

მუხლი1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში (სსმ. ვებგვერდი, 03/12/2019. ს/კ010250020.35.113.016402) შევიდეს ცვლილება და დადგენილებას თანდართული დებულების:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მერია შედგება 8 სტრუქტურული ერთეულის – სამსახურისა (ტექსტში შემდგომში – „სამსახური“) და 23 სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფის – განყოფილებისგან (ტექსტში შემდგომში – „განყოფილება“);

ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მერიის თანამდებობის პირების რაოდენობა (მერის ჩათვლით) არის 12.“;

გ) დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახურებია:

ა) ადმინისტრაცია;

ბ) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა;

გ) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის;

დ) ეკონომიკური განვითარების;

ე) საფინანსო-საბიუჯეტო;

ვ) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის;

ზ) შიდა აუდიტის;

თ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 2 მაისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე:

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
დებულების დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის
N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავება განპირობებულია შემდეგი გარემოებების გამო:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ხოლო ამავე კანონის 103-ე მუხლის 1-ლი პუნქტით რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე საჯარო დაწესებულების შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად არ ჩაითვლება საჯარო დაწესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება.

მერიაში მოქმედი სამსახურების მიერ, განვლილ პერიოდში, უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ანალიზისა და დამდგარი შედეგების გათვალისწინებით აუცილებლობას წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტის მიხედვით განისაზღრება მერისს ახალი სტრუქტურა.

2. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

გ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

3. პროექტის ავტორია:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

4. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2022 წლის ----------

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:

მერის პირველი მოადგილე - გიორგი ღურჯუმელიძე